რითი გაატარეს 2001 წელი



კლუბმა „სარდაფმა“ მართლაც საოცრად ლამაზად გააცილა 2001 წელი. ჯერ იყო და, რატი ამაღლობელის ლიტერატურული საღამო ჩაატარეს. როგორც კლუბ „სარდაფის“ ხელმძღვანელმა ნინო გუჯაბიძემ გვითხრა: გასულ წელს ასეთ საღამოს დათო ტურაშვილი უძღვებოდა, ამჯერად კი მიშა ქვლივიძემ და ირაკლი კაკაბაძემ ჩაატარეს. ამას მოჰყვა არაჩვეულებრივად საინტერესო ფოტოგამოფენა, რომელიც ბესო შეჰარდის მიერ იქნა ორგანიზებული და ჩატარებული. ამ ფოტოსურათებზე ქართველმა დამთვალიერებლებმა ადამიანის ემბრიონში ჩანასახის მდგომარეობა იხილეს. ფოტოების საშუალებით მონახულ იქნა მოზრდილი ადამიანის შესატყვისი მდგომარეობა.

ამ გამოფენის შემდეგ, რამდენიმე დღეში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების ლიტერატურული საღამოც ჩატარდა.

შემდეგ, მახო ნიკოლაძის მიერ მოეწყო ახალგაზრდებთან შეხვედრა. შეხვედრას თან ერთოდა ელექტრონული მუსიკა, ბოლოს კი დისკოთეკა. ამას მოჰყვა ლია შველიძის ნახატების გამოფენა. მალევე შედგა გუგა კოტეტიშვილის გამოფენის გახსნა, სადაც ძველი კინოაფიშები იყო წარმოდგენილი. როგორც თავად ორგანიზატორებმა გვითხრეს, ამ საღამოზე, ფაქტობრივად, კლუბი „სარდაფის“ ახლებური წარმოჩენა მოხდა.



Art Photography

Besso Shonhardt

დეკემბრის მიწურულს დათო ალექსიძემ ჩაატარა საღამო, სახელწოდებით - „მუსიკალური სარდაფი“.

დათო ევგენიძე ყოველ პარასკევს ლექციებს ატარებდა, სახელწოდებით - „დათო ევგენიძის სარდაფი“. ხოლო ყოველი საღამო მთავრდებოდა ბათუმის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ჩვენ“-ს მიერ შესრულებული ცოცხალი მუსიკით. ანსამბლი სამი მუსიკოსისაგან შედგება - ლაშა და ნიკუშა აბაშმაძეები და სოლისტი მახო აბულაძე.

კლუბი „სარდაფი“ 2002 წელსაც მომზადებული შეხვდა. ახალ წელს კლუბ „სარდაფში“ ჩატარდა საღამო, სადაც იყო ცოცხალი მუსიკა. მღეროდნენ ნეკა სებისკვერაძე, ნატო მეტონიძე და თემურ თათარაშვილი. შემდეგ იყო დისკოთეკა და კარაოკე. საღამოზე მოსაწვევი ღირდა 60 ლარი. ამ თანხაში შედიოდა შამპანური და ვახშამი.

„სარდაფში“ ყოველ შაბათს მუსიკალური საღამოები ტარდება. საღამოებს ირინა სოლტიში უძღვება. ასე რომ, მიბრძანდით კლუბ „სარდაფში“ და ისიამოვნეთ.

რუსიკო უშიკიშვილი